თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 5

29 მარტი 2018 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 26 დეპუტატი:

სხდომას თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე;

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღლონიძე;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -კონსერვატორები“ თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი

საკრებულოს წევრები: ლევანი ოთოურიძე, ზაქარია გრიშიკაშვილი, ზაადური რევაზიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილი თვალიაშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამი წულუკიძე, ვასილი არაბული, გოჩა წაწალაშვილი, გიგა მამუკელაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, აზრამ მახარიაშვილი, (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო აფციაური, საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი ნინო ტაბიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი გიორგი ფარადაშვილი, საკრებულოს იურიდიულ კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, საორგანიზაციო განყოფილების სპეციალისტები: მ.სოლომნიშვილი, ნ.სახიაშვილი, ნ.ასანაშვილი.
მოქალაქეები: მაკა მოსიაშვილი და თ.ლამაზოშვილი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს განუმარტა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზი და დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

13.00სთ-დან - 13.15სთ-მდე
მომხს. ნ.აფციაური

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

რეგისტრაციის გავლის შემდგომ სხდომას არ დასწრებია ლევან ლილუაშვილი.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

13.00სთ-დან - 13.15სთ-მდე
მომხს. ნ.აფციაური

<u>აზრი გამოთქვეს:</u> მომხსენებელმა განმარტებები გააკეთა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საჯარო სამსახურის ბიურომ, საჯარო სამსახურში ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაცია, სადაც განმარტებულია, რომ მერის

წარმომადგენლებისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების პასუხისმგებლობის ხარისხი და მოვალეობათა შესრულების სირთულე არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2017 წლს 26 აპრილის N215 დადგენილების დანართში აღწერილ I და II რანგის თანამდებობებს. ასევე მან აღნიშნა, რომ პირველ და მეორე რანგს მიეკუთვნებიან: პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ხელმძღვანელის მოადგილის და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობები, ხოლო მერის წარმომადგენელი მიეკუთვნება საშტატო ნუსხით განსაზღვრულ პოზიციას და არა სტრუქტურულ ერთეულს. აქედან გამომდინარე, საშტატო ნუსხაში მერის წარმომადგენელს II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის რანგის ნაცვლად ენიჭება III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის რანგი და თანამდებობრივი სარგოდ განესაზღვრება - 1100 ლარი.

ზ.რევაზიშვილმა დასვა კითხვა მერის წარმომადგენლის პოზიციაზე კონკურსის გავლისა და საკონკურსო კომისიის შემადგენლობის შესახებ, რაზეც მომხსენებელმა ამომწურავად გააკეთა განმარტებები.

აღნიშნულთან დაკავშირებით ა.თხლაშიძემ აღნიშნა, იმისთვის რომ კონკურსი იქნას გამოცხადებული, საჭიროა ხარვეზის აღმოფხვრა და საჯარო ბიუროს შესაბამისი რეკომენდაციის გათვალისწინება.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20 (ოცდაორი) წევრმა, წინააღმდეგი: 02(ორი) - ზ.რევაზიშვილი და ა.კუპატაძე.
კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 03 (სამი): ა.მახარიაშვილმა, ა.თვალიაშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე